



## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

### ოქმი N11

ქ.ლანჩხუთი

27.06.2017 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქციის, „დამოუკიდებელი“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე. საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქციის, „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქციის, „მაჟორიტარები“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ადელინა კილაძე, ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების,

ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორი გელა ზოიძე, ვალოდია წულაძის სახელობის თეატრისა და კინოს მუზეუმის გამგე მაცყვალა ჩხაიძე (განცხადება N256-ის საფუძველზე), ლანჩუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამგე ნონა იმნაძე (განცხადება N260-ის საფუძველზე), ლანჩუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ - მუშაკი ლალი რამიშვილი (განცხადება N259-ის საფუძველზე), მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ გამგეობიდან შემოვიდა სამი საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ე. იმნაძე/

2. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

3. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩუთის სერვისი“ - სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ბ. ტაბიძე/*

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი“-სთვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

9. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.**

**მომხრე: 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარები“ -ის თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ საკრებულოს წევრებთან ერთად დაბადების დღე მიულოცა დეპუტატ ელენე ნაჭყებიას და უსურვა შემდგომი წარმატებები.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ**. მან აღნიშნა, რომ პროექტი მომზადებულია საქართველოს მთავრობის „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილებისა და პირველი ივლისიდან ასამოქმედებელი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. პროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას, ვინაიდან მოხელეების ნაწილი დაემატება საშტატო სტრუქტურას, ხოლო ნაწილი აყვანილი იქნება შრომითი ხელშეკრულებით, რაც განხორციელდება დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

სხდომას შემოუერთდა დეპუტატი ამირან ქანთარია.

საკრებულოს ფრაქციის, „დამოუკიდებელი“ თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ ეს არის ცენტრალიზებული დადგენილი წესი - ის საჯარო მოხელეები,

რომლებიც ირიცხებოდნენ სამტატმო სტრუქტურაში, გადავიდნენ შტატგარეშე პოზიციაზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩააბარეს გამოცდები და გაიარეს გასაუბრება. დეპუტატი დაინტერესდა, რა საჭიროა საკრებულოს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, მუნიციპალიტეტის გამგებელს შესაძლებლობა ექნება ერთპიროვნულად შეარჩიოს კადრი და დაასაქმოს ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობაზე.

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო მოხელეებმა კონკურსი გაიარეს 2014 წლის დეკემბერში. რა თქმა უნდა, იმ პერიოდისთვის არ იყო ცნობილი, თუ როგორ განისაზღვრებოდა 2016 წელს მიღებულ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში პროფესიული საჯარო მოხელისა და შტატგარეშე სტრუქტურაში დასაქმებული პიროვნების ფუნქცია - მოვალეობები. თითოეული რანგის მინიჭებისას გაანალიზებულ იქნა სამუშაოს შინაარსი, პასუხისმგებლობის ხარისხი და დონე, რაც ეკისრება კონკრეტულ პოზიციას. გამგებლის წარმომადგენლის ფუნქცია - მოვალეობები დებულებითაა გაწერილი, რომლის მიხედვითაც მას ევალება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სოფლის მოსახლეობამდე მიტანა და პირიქით, ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების შესახებ მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, გამგებლის მიერ კადრის შერჩევა ერთპიროვნულად ვერ მოხდება, არამედ შერჩეულ პირთან ხელშეკრულება გაფორმდება გამარტივებული კონკურსის წესით - მხოლოდ გასაუბრების გავლის შედეგად.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ პროექტი განხილულ იქნა ფრაქციის „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომაზე, რომელზეც საკითხთან დაკავშირებით მან გამოთქვა გარკვეული შენიშვნები. დეპუტატის თქმით, მოქმედი ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები ასრულებენ მხოლოდ კურიერის როლს და ლეგიტიმურად ჩამორთმეული აქვთ ყველა ფუნქცია - მოვალეობები. ისინი სამტატო სტრუქტურიდან გადაიყვანეს შტატგარეშე პოზიციაზე, მაგრამ ხელფასები საკმაოდ სოლიდური აქვთ. მათი ფუნქცია მხოლოდ ისაა, რომ გამოყენებულები იყვნენ საარჩევნო პერიოდში. დეპუტატი ეთანხმება საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“-ის თავმჯდომარის, ემზარ თევდორაძის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს. მისი აზრით, მაჟორიტარმა დეპუტატებმა უნდა გამოთქვან თავიანთი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გამგებლის წარმომადგენლები შტატში აღარ ირიცხებიან და არ გააჩნიათ არანაირი ლეგიტიმაცია.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი ნაყოფიერად იქნა განხილული საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე. ამ ეტაპისთვის, გამგებლის წარმომადგენლის ფუნქციები ცალსახად შესუსტებულია, მაგრამ დეპუტატი იტოვებს იმედს, რომ გასაუბრება ჩატარდება პროფესიულ დონეზე. შერჩეულმა პიროვნებამ ყველაფერი უნდა იცოდეს სოფლის სფეროში შესახებ, ასევე კარგად უნდა იცნობდეს მოსახლეობას. სოფელი უფრო მეტად უნდა იქნას დაფასებული. დეპუტატის თქმით, ზოგიერთი საჯარო მოხელე იმყოფებოდა შტატში, შემდეგ გადაიყვანეს შტატგარეშე პოზიციაზე, ახლა ისევ სამტატო სტრუქტურებში ირიცხებიან. ასეთი ექსპერიმენტების შედეგად კნინდება სოფლის სტატუსი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე იძლევა უფლებას, რომ გამგებელმა 2 – 3 ადმინისტრაციულ ერთეულში

დანიშნოს ერთი წარმომადგენელი, რაც დეპუტატის აზრით, შეასუსტებს სოფლის ინტერესს. წინა კონკურსის დროს გათვალისწინებულ იყო გარკვეული რეგულაციები. სამომავლოდ, გასაუბრებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ამა თუ იმ კრიტერიუმზე. რანგირების დამტკიცების შემდეგ ასევე გადასახედი იქნება საჯარო მოხელეების სახელფასო განაკვეთები, რადგან დღევანდელი ცხოვრების დონიდან გამომდინარე გაიზარდა ადამიანის სამომხმარებლო კალათა. დეპუტატმა თხოვნით მიმართა აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობაზე კადრების შერჩევა სოფლის საჭიროებიდან გამომდინარე, მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალიზმის მიხედვით.

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ** აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის, 16 ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედ წარმომადგენლებს და 24 სპეციალისტს ყოველგვარი გასაუბრების გარეშე გაუფორმდება ხელშეკრულება მიმდინარე წლის ბოლომდე. როგორც ცნობილია, ხელშეკრულება განისაზღვრება გარკვეული ვადით, რომლის ამოწურვის შემდეგ ჩატარდება გამარტივებული წესით კონკურსი - გასაუბრება. არ არის გამორიცხული, რომ თუ სათანადო შეფასების მიხედვით ვერ შეირჩა შესაფერისი კადრი, მაშინ თანამდებობაზე დარჩეს გამგებლის მოქმედი წარმომადგენელი.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

დეპუტატ, **კახაბერ ასკურავას** თქმით, გამგებლის წარმომადგენლისთვის არ არის აუცილებელი უმაღლესი განათლება და უნარ - ჩვევების ცოდნა, არამედ მან კარგად უნდა იცოდეს ზოგადად სოფლის სპეციფიკა. მას ჭირდება გამგებლის და მაჟორიტარი დეპუტატის მხარდაჭერა, ასევე მუდმივი შტატი და კარგი ხელფასი. მისი აზრით, მაჟორიტარ დეპუტატებს არ უნდა უწევდეთ თავის გასამართლებლად არგუმენტების მოძებნა, რადგან წარმოდგენილი პროექტი არის ცუდი და სოფლის დაკნინება.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის, **ჯუმბერ ბლაგიძის** თქმით, ის არანაირად არ ეძებს გამამართლებელ არგუმენტებს, არამედ მისი აზრით, მთავარია პროფესიონალიზმი. გლეხი შეიძლება არ იყოს უმაღლესი განათლებით, მაგრამ ქონდეს სათანადო ცოდნა, როგორც მიწის დამუშავებასთან, ასევე სხვა საკითხებთან დაკავშირებით. გამგებლის წარმომადგენელი უნდა დაეხმაროს გამგებელს და შეასრულოს მისი დავალება. ასევე, იყოს კომპეტენტური. მთავარია, რომ პირველ რიგში სოფლის ინტერესები იქნას გათვალისწინებული.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს საჯარო მოხელისა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის მოხელის არსს. ლოგიკურია, რომ როცა მიდის გამგებელი, მიყვება თავისი პოლიტიკური გუნდი. დეპუტატის აზრით, უხერხული სიტუაცია იქმნება იმ ადამიანებთან მიმართებაში, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს სერიოზული გამოცდები, მაგრამ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მათ არ ენიჭებათ რანგი. ახალ მთავრობას მოყავს თავისი გუნდი. ამიტომ კარგია, რომ პროფესიული საჯარო მოხელე იქნება დაცული და ხელაღებით ვერავინ ვერ შეეხება.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი ერთი თვეა განიხილება საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე. ბუნებრივია, არის გარკვეული შენიშვნები. აქ საკითხი არ დგას პოლიტიკური გუნდის წასვლა - წამოსვლასთან დაკავშირებით. კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებელს შეუძლია თავისი წარმომადგენლის რამდენჯერმე შეცვლა, თუ ისინი სათანადოდ ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქცია - მოვალეობებს. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რათა საკითხი დააყენოს კენჭისყრაზე.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლის როლი არის ისეთი სუსტი და დაკნინებული, რომ მნიშვნელობა არ აქვს ის შტატში იქნება, თუ ხელშეკრულებით. დეპუტატისთვის უფრო მნიშვნელოვანია გაიზარდოს მათი სტატუსი და მიეცეთ მეტი ლეგიტიმაცია, როგორც ეს მეზობელ მუნიციპალიტეტებშია.

დეპუტატ, **დავით ჩხარტიშვილის** თქმით, სრულიად ეთანხმება საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, ალექსანდრე სარიშვილს, რადგან ძალიან მცირე, პრაქტიკულად, არანაირი ლეგიტიმაცია არ გააჩნიათ სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს. დეპუტატი დაინტერესდა, შეუძლია თუ არა საკრებულოს მიანიჭოს მათ მეტი ლეგიტიმაცია ისე რომ, არ დაარღვიოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და ასევე გახადოს გამგებლის წარმომადგენლების მდგომარეობა უფრო მყარი, რათა გამგებელმა ხელაღებით, ყოველგვარი მიზეზის გარეშე არ გაათავისუფლოს ისინი სამსახურიდან.

დეპუტატ, **ადამ ხუხუნაიშვილის** თქმით, დანაშაულის ტოლფასი იყო ის, რომ გაუქმდა სოფლის საკრებულოები, რომლის შემადგენლობაში შტატით იმყოფებოდა სულ სამი ადამიანი. ისინი არჩეულები იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ და აკეთებდნენ სოფლის საქმეს.

დეპუტატი, **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, რომ ხელშეკრულება გამგებლის წარმომადგენლებთან გაფორმდება გამგებლის უფლებამოსილების ვადით, თუ დაკონკრეტდება ის ვადა, რა ხნითაც მოხდება მათი დასაქმება. მართალია, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები ირიცხებოდნენ შტატში, მაგრამ ზოგიერთ სოფელში სამ -ოთხჯერ მოხდა მათი ჩანაცვლება, ზოგან კი წლების განმავლობაში ერთი და იგივე პიროვნება აგრძელებს საქმანობას. დეპუტატი სრულიად ეთანხმება კოლეგებს, რომ წარმომადგენლების ფუნქციები შესუსტებული და დაკნინებულია. მან დასვა შეკითხვა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით განხორციელდება თუ არა რაიმე ცვლილებები ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების უფლება - მოვალეობებთან და მათ სახელფასო სარგოებთან დაკავშირებით.

გამგებლის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ** აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ვადებთან დაკავშირებით იყო სხვადასხვა მოსაზრება. კერძოდ, იგი შეიძლება გაფორმდეს გამგებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, სამი თვით ან გამგებლის

უფლებამოსილების ვადით. კანონის შესაბამისად დამტკიცებულია წლის ბიუჯეტი. ასიგნებები და სახელფასო ფონდი განსაზღვრულია, რაც იძლევა შესაძლებლობას ხელშეკრულება გაფორმდეს წლის ბოლომდე. ასევე, ცვლილება არ შეეხება გამგებლის წარმომადგენლის სტატუსს და ფუნქცია - მოვალეობებს. ამასთან, ხელშეკრულების დაცულობის ხარისხი არის მაღალი. დასაქმებულ პირს შეუძლია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით, თუმცა იურიდიულად იმავე უფლებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის გამგებელიც, მაგრამ ხელშეკრულებაში ჩადებულია პირობა, რომ დასაქმებულ პირს აქვს სასამართლო დავის უფლება იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის გამგებელი შეუწყვეტს ხელშეკრულებას. ამიტომ ერთპიროვნულად, დასაბუთების გარეშე ვერ მოხდება პიროვნების სამსახურიდან გათავისუფლება. საჯარო სამსახურის, თვითმმართველობის ფუნქციაა, რომ ადგილზე სწრაფად და სათანადოდ მოემსახუროს მოქალაქეებს. აქედან გამომდინარე, ამ ადამიანებს უნარჩუნდებათ სტატუსი, ფუნქცია - მოვალეობები და რაც მთავარია, აქვთ მაღალი ხელფასი.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.**

**მომხრე: 24 დეპუტატი; წინააღმდეგი 3 დეპუტატი ( ელგუჯა ჩხაიძე, კახაბერ ასკურავა, გიორგი გოგუაძე) .**

**მიღებულ იქნა დადგენილება N 19 (27.06. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც საჯარო დაწესებულებებს დაევალებათ 2017 წლის 1 ივლისამდე შტატების დასახელებებში ცვლილება და მათი იერარქიულ რანგებში განაწილება. სრულად აღნიშნული კანონი ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან. საჯარო სამსახურში „შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონი პარლამენტს ჯერ - ჯერობით არ მიუღია, თუმცა პროექტი მთავრობაში წარდგენილია. 2017 წლის 1 ივლისიდან ასევე ამოქმედდება საჯარო სამსახურში მობილობის შესახებ დადგენილება, ეთიკის წესი, არასამუშაო და ზეგანაკვეთურ დღეებში მუშაობის წესი. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ



სხდომებზე გამოთქმული შენიშვნები მიწოდებულ იქნა აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის. ხარვეზი გასწორდა ასევე საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებთან დაკავშირებით.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.**

**მომხრე: 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N20 (27.06.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“ - სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული 2017 წლის 31 მარტის N66 ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, საკუთრებაში გადმოეცა 2 (ორი) ცალი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა. (თვითმცლელი ნაგავმზიდი - მოცულობით 7 კბ.მ. 4X4, შასის N WDB 972 36210114959, საბალანსო ღირებულებით 235 896,86 ლარი და მე-2 თვითმცლელი ნაგავმზიდი - მოცულობით 13 კბ.მ. 4X4, შასის N NMB 95050112181316, საბალანსო ღირებულებით 237099,48 ლარი. ზემოაღნიშნული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“- სთვის არის მიზანშეწონილი, ვინაიდან მას აღნიშნული ნაგავმზიდები ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.**

**მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

## მიღებულ იქნა განკარგულება N48 (27.06. 2017 წელი).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ თხოვნით მიმართა დეპუტატებს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე განეხილათ მერვე საკითხად, რაზეც მათ თანხმობა განაცხადეს.

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი“-სთვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 113-ე მუხლის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N 391 დადგენილების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 24.05.2017 წლის N 3102, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს 29.05.2017 წლის N 09/4774, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციის 25.05.2017 წლის N 548 წერილებისა და სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის 129.05.2017 წლის N44569, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის 02.06.2017 წლის N46891, 05.06.2017 წლის N47435 სამსახურებრივი ბარათებისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 08.06.2017 წლის N1/1-1278 ბრძანების საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 2647 ლიტრი ინსექტიციდი ზონდერი, ზურგსაკიდი შემასხურებელი აგრეგატი SOLO PORT 423 (61 ცალი), დამცავი კომბინიზონი (854 ცალი), რესპირატორი (122 ცალი), დამცავი ხელთათმანი (244 წყვილი), დამცავი სათვალე (122 ცალი), ხმაურის ჩამხშობი (ყურის საცობი) (366 ცალი), ორტაქტიანი ძრავის ზეთი (160 ლიტრი). (მიღება-ჩაბარების აქტის და და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 08.06.2017 წლის N1/1-1278 ბრძანების ასლები თან ახლავს) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მოსაზრებაა ზემოთ აღნიშნული ქონება პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცეს ა(ა)იპ „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრ“-ს სამსახურებრივი მოვალეობის განსახორციელებლად.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.

მომხრე: 24 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ერთმა დეპუტატმა (დარეჯან ბურჭულაძე).

მიღებულ იქნა განკარგულება N50 (27.06. 2017 წელი).

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურია**მ. მან აღნიშნა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა (ს/კ27.09.50.004) ხანძრის შედეგად განადგურდა და არ ექვემდებარება აღდგენას. მასში შეუძლებელი გახდა მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესრულება და უფლებამოსილებების განხორციელება. აქედან გამომდინარე ქონებამ დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქცია. სწორედ ზემოთ მოყვანილი მდგომარეობის გამო, რაც ცნობილია მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის, მასთან ერთად და მისი თანხმობით მიღებული იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული უძრავი ქონების პრივატიზების შესახებ. შესაბამისად საჭიროა მოხდეს ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის (ს/კ27.09.50.004) საპრივატიზებო ნუსხაში შეტანა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვადემ** აღნიშნა, რომ სამი წელია ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში დაწყებულია მინი სტადიონის მშენებლობა. მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული შენობის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანით და გაყიდვის შედეგად მიღებული თანხით მინი სტადიონის მშენებლობა დასრულდებოდა. სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე შემოიტანა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ წინადადება, რათა ბიუჯეტში შესულიყო ცვლილება და იგი გაიზარდა 60 000 ლარით, მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ ჩიბათის თემა საერთოდ იქნა ამოღებული პროექტიდან. დეპუტატი ნამდვილად არ არის წინააღმდეგი, რომ ჭადრაკს ქონდეს საკუთარი სახლი, მაგრამ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა გაიყიდოს და მიღებული თანხა არ მოხმარდეს მინი სტადიონის მშენებლობას, ამის კატეგორიული წინააღმდეგია.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **რომან ბიწაძის** თქმით, კარგია, რომ აღნიშნულ შენობას გამოუჩნდება პატრონი და გააკეთებს. აგრეთვე, ადგილობრივი ბიუჯეტი მიიღებს შემოსავალს. დეპუტატი ასევე მიესალმება, თუ შემოსული თანხით დასრულდება ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სტადიონის მშენებლობა, მაგრამ მან გამოთქვა ეჭვი, რომ შენობის გაყიდვის შემთხვევაში ასე არ მოხდება.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ თავის მხრივ წინააღმდეგია, რაიმე დაინგრეს და მის ხარჯზე სტადიონი გაკეთდეს. მისი თქმით, დაპირება, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა გაიყიდება და მიღებული თანხა მოხმარდება მინი სტადიონის მშენებლობას, არის სიცრუე, რადგან შემოსული ფინანსები შევა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, საიდანაც აღნიშნულ თანხას მინი სტადიონის მშენებლობისთვის არავინ არ გაცემს.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.**

**მომხრე: 22 დეპუტატი; კანჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 დეპუტატმა ( ელგუჯა ჩხაიძე, კახაბერ ასკურავა, გიორგი გოგუაძე) .**

**მიღებულ იქნა განკარგულება N 51 (27.06. 2017 წელი)**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურია**მ. მან აღნიშნა, რომ 2017 წლის 28 თებერვლის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო გეგმის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N13 განკარგულების, 1-ლი მუხლის დანართი N1 და მე - 2 მუხლის დანართი N2-ის შესაბამისად განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა და გეგმა. საპრივატიზაციო ნუსხაში უნდა მოხდეს ცვლილება, რაც განპირობებულია ნუსხაში ერთი საპრივატიზაციო ობიექტის დამატებით. კერძოდ, ნუსხას ემატება ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.09.50.004).

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარები“-ის თავმჯდომარემ, **გოგი მორჩილაძემ** აღნიშნა, რომ აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი ბაგა - ბაღის შენობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გდმოცემულ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, მაგრამ რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა აუდიტის ჩამოყვანა, რათა შეფასდეს შენობა და მოხდეს მისი შეტანა საპრივატიზაციო ნუსხაში.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურია**მ აღნიშნა, რომ ამ შენობასთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა ტენდერი. გამარჯვებულ აუდიტორულ კომპანიას რამდენჯერმე მიემართა თხოვნით, რომ ჩამოსულიყო ადგილზე და შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება. რის შემდეგაც გაეზავნათ გაფრთხილების წერილი და სავარაუდოდ, მოხდება ტენდერის შედეგების გაუქმება.

დეპუტატმა, აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ უკვე რამდენიმე თვეა ელოდებიან შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი კულტურის სახლთან დაკავშირებით ექსპერტიზის პასუხს. შენობა იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, ამიტომ არ არის გამორიცხული მოხდეს რაიმე უბედური შემთხვევა.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, გიორგი ფაცურამ აღნიშნა, რომ ეს საკითხი რამდენჯერმე იქნა დასმული. აუდიტმა, რომელმაც შეაფასა აღნიშნული შენობა, დადო დასკვნა, რომ იგი ექსპლოატაციისთვის უვარგისია. შემდეგ გამოითქვა მოსაზრება, რომ მოწვეული ყოფილიყო სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურო, მაგრამ ეს დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან.

დეპუტატმა, ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ მიესალმება ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობის ასე სწრაფად გაყიდვას, რადგან რამდენიმე თვეში იგი შეიძლება მიწასთან გასწორდეს, ისევე, როგორც სხვა შენობები. მისი მხრიდან საკრებულოს თითქმის ყველა სხდომაზე იყო თხოვნა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ იქნებ მომხდარიყო მუნიციპალურ საკუთრებაში ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ისეთი შენობების გადმოცემა, რომლებიც თანდათან ინგრევა და ნადგურდება, არადა მათში შეიძლება გაჭირვებული, უსახლ - კარო ადამიანების შესახლება. დეპუტატის აზრით, თუ ასეთი შენობა - ნაგებობები გადმოეცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ისინი გამოყენებული იქნება მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, გიორგი ფაცურამ განმარტა, რომ როცა კონკრეტულად ამა თუ იმ ობიექტის მიმართ არის მოთხოვნა, რათა ისინი გადმოეცეს მუნიციპალურ საკუთრებაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან ხდება გარკვეული მოთხოვნების წამოყენება. უნდა იყოს დადასტურებული, თუ რა მიზნით მოხდება შენობა - ნაგებობის გამოყენება. ასევე მითითებული უნდა იყოს ფინანსური წყარო, რომელიც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივ ბიუჯეტში და ბოლოს, წარმოდგენილ უნდა იყოს შესაბამისი პროექტი. მხოლოდ ამ მოთხოვნების დაცვით ახდენს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ქონების გადმოცემას მუნიციპალურ საკუთრებაში.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელამემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.**

**მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N 52 (27.06. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ საფინანსო სამსახურში შემოსული წერილების საფუძველზე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის სუბსიდირების მუხლი შემცირდეს 11 507 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 11 507 ლარით, ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის სუბსიდირების მუხლი შემცირდეს 3 400 ლარით გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 3 400 ლარით. მან დეპუტატებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია, რომ არის დამატებითი საკითხები. კერძოდ, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტექ - სერვისმა ამოწურა გარე განათების რემონტისთვის გათვალისწინებული ხარჯები, ამიტომ ითხოვს დამატებით თანხის გამოყოფას. ასევე, უახლოეს დღეებში მომზადდება და საკრებულოში განსახილველად შემოვა საკითხი, რომელიც შეეხება მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დამატებით თანხის გამოყოფას, რაც სავარაუდოდ შეადგენს 700 000 ლარს.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტექ - სერვისს თავის დროზე ხარჯები შეუმცირეს, ახლა კი ხდება ფინანსების დამატება. ის დაინტერესდა, რომ თუ ახლა ხდება მოთხოვნა დამატებით თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით, როცა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტექ - სერვისს შეუმცირდა ხარჯი, ნუთუ მათი მხრიდან მაშინ ასეთი მოთხოვნა არ იყო.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიას** თქმით, მართალია, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტექ - სერვისს შეუმცირდა დაფინანსება, მაგრამ ახლა მათი მხრიდან არის მოთხოვნა თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს მოხდება უკვე დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში და არა დამატებითი შემოსავლის ხარჯზე.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა, რომ ბიუჯეტში მოსალოდნელი ცვლილებები განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან 700 000 ლარის გამოყოფამდე, თუ მის შემდეგ. მისი თქმით, სწორია, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტექ - სერვისი ითხოვს გარე განათების სარემონტო სამუშაოებისთვის დამატებით თანხას, მაგრამ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათებაში ჩასართავია ორი ქუჩა, რისთვისაც ოთხი თვეა დეპუტატი ითხოვს 200 ლარის გამოყოფას.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით იწყება ადმინისტრაციული წარმოება, დამატებით საკითხებთან დაკავშირებით კი ინფორმაცია მიაწოდა დეპუტატებს. რაც შეეხება გარე განათების საკითხს, მისი თქმით, თავიდანვე უნდა იყოს გათვლილი ყველა ქუჩა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** თხოვნით მიმართა დეპუტატებს, რომ აღნიშნული საკითხი დადგეს კენჭისყრაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს, როლანდ ლაშხიას აქვს პრეტენზია გამგეობასა და საკრებულოს მიმართ სახელფასო ფონდთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, იგი საკუთარი ძალებით ფინანსთა სამინისტროსთან ვერ ახერხებს საკითხის მოგვარებას. დეპუტატმა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, ალექსანდრე სარიშვილს და მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს, ნუგზარ ცინცაძეს მიმართა თხოვნით, რათა საკრებულო და გამგეობა დაუდგეს გვერდით გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს, როლანდ ლაშხიას და ერთობლივი ძალისხმევით ეს პრობლემა მოგვარებულ იქნას წლის ბოლომდე.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.**

**მომხრე: 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N53 (27.06. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მერვე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტაბიძემ**. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი მის მიერ წარმოდგენლ იქნა ბიუროს სხდომაზე, სადაც მან მიმართა დეპუტატებს მიეწოდებინათ შენიშვნები და წინადადებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რათა ისინი გათვალისწინებულ ყოფილიყო.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.**

**მომხრე: 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N49 (27.06. 2017 წელი).**

**სხვადასხვა:**

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს წევრთა ინიციატივით საკრებულოს სხდომაზე, მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებით სასაუბროდ მოწვეულნი არიან ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ადელინა კილაძე და ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლანჩხუთი - სერვისის დირექტორი თენგიზ ჭიჭილეიშვილი, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო ვერ ესწრება დღევანდელ სხდომა. ასევე ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თხოვნით, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლის ღონისძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით სხდომაზე მოწვეული ბრძანდება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგარეო-ეკონომიკური კავშირუბრუნების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი“-ს დირექტორი, გელა ზოიძე.

კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით რეგლამენტის შესაბამისად, საკუთარი განცხადების საფუძველზე საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლა ითხოვა მაყვალა ჩხაიძემ - ვალოდია წულაძის სახელობის თეატრისა და კინოს მუზეუმის გამგემ, ასევე, ნონა იმნაძემ - ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამგემ და ლალი რამიშვილმა - ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ - მუშაკმა.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში შემოსულია შპს საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის „გურია“-ს გენერალური დირექტორის, თემურ მიქაძის მომართვა, რომლითაც ის ითხოვს შუამდგომლობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან, რათა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე დააყენოს საკითხი შპს საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის „გურია“ - ს მიერ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის „გურია“-სთვის ადგილის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. ამასთან, აღმასრულებელი კომიტეტი არ დაუშვებს, რომ ეს პროცედურა განხორციელდეს გარანტიებისა და უზრუნველყოფის გარეშე. დეპუტატს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ ეს მომართვა შემოსულია საკრებულოში, რომელიც ოპერატიულად მიეწოდებათ საკრებულოს წევრებს. მან თხოვნით მიმართა დეპუტატებს, რომ გულისყურით განიხილონ აღნიშნული საკითხი და წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ეს მომართვა დაეწერა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს მისი შესწავლა. სრულიად შესაძლებელია, რომ საკითხი გადაწყდეს დადებითად, მაგრამ დეპუტატის თქმით, საკრებულო როგორ განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას, როცა ა(ა)იპ - ის და შპს -ს ქმნის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ამასთან, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან უნდა იყოს დადასტურება, რომ არის თანახმა.



დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ აქ თხოვნა არის არა გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, არამედ განხილვის შემდეგ რეკომენდაციის სახით შუამდგომლობის მიცემაზე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** კიდევ ერთხელ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საკრებულოს მიერ განხილვა საკითხი, რომელთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა.

საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“ -ის თავმჯდომარის, **ემზარ თევდორაძის** აზრით, მხოლოდ მომართვის საფუძველზე გადაწყვეტილება ვერ მიიღება, არამედ უნდა მოხდეს შეხვედრა კონკრეტულ პიროვნებასთან, ან მის წარმომადგენელთან.

საკრებულოს თავმჯდომარის, **გიორგი ხელაძის** თქმით, დეპუტატების გარკვეული ნაწილის სურვილია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მერაბ ჟორდანიას დაინტერესება აქვს საფეხბურთო კლუბთან დაკავშირებით, მაშინ ის უნდა შეხვედეს როგორც საკრებულოს წევრებს, ასევე მუნიციპალიტეტის გამგეობებს.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ საკითხი უნდა დაეწეროს საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს, სადაც მოხდება მისი სიღრმისეული განხილვა, რის შემდეგაც დაიდება შესაბამისი დასკვნები. მას სავსებით სწორად და რეალურად მიაჩნია, რომ მოხდეს შპს საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის „გურია“ - ს მიერ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის „გურია“-სთვის ადგილის ჩანაცვლება. ასევე, ვერანაირ იურიდიულ დარღვევას ვერ ხედავს, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელმა მიწეროს სფფ - ს, რათა შპს საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის „გურია“ -ს სახელით იასპარეზოს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბმა ლანჩხუთის „გურია“-მ. დეპუტატის თქმით, კლუბიდან არის მოთხოვნები თანხის დამატებასთან დაკავშირებით. ამ ნაბიჯით კი ეს თემა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება. ამასთან, ა(ა)იპ - ის გაუქმება არ ემუქრება. მას რჩება ქონება, რომელიც შეუძლია გააქირავოს, რის შედეგადაც ამოღებული თანხა შევა ადგილობრივ ბიუჯეტში და კლუბის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებები თანდათან იქნება გასტუმრებული.

დეპუტატ, **კახაბერ ასკურავას** თქმით, ის ეთანხმება საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, რომან ბიწაძეს იმაში, რომ ა(ა)იპ - ის და შპს -ს ქმნის მუნიციპალიტეტის გამგებელი, მაგრამ წარმოდგენილ მიმართვაში ადრესატი არის როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელმაც უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია, ხოლო თუ მუნიციპალიტეტის გამგებელი იქნება წინააღმდეგი, ეს უნდა იყოს მისი მხრიდან დასაბუთებული.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრების აკვირება ნამდვილად არ არის, რომ შედგეს შეხვედრა მერაბ ჟორდანიასთან, არამედ ეს მოთხოვნა გამომდინარეობს აღნიშნული საკითხის აქტუალურობიდან. ამის შემდეგ, დეპუტატმა აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მწვავედ დგას ჩინურ

23 - ე ბიუროსთან დაკავშირებული პრობლემა. სიმინდის ყანები, რომლებიც გლეხების შემოსავლის წყაროა, დღესდღეობით დაუცველია, განსაკუთრებით გრიგოლეთი - ხაჯალიას მონაკვეთზე. შარშან ეს პრობლემა ასეთუ ისე მოგვარებული იყო. რამდენიმე დღის წინ საკითხთან დაკავშირებით შედგა მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეხვედრა. მოსახლეობა არის მზად, რომ გაიფიცოს და გზა გადაუკეტოს მაღალტონიან მანქანებს, რომლებიც საყანე ფართობებში გადაადგილდებიან ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით. საქონელი დაუბრკოლებლად შედის და ანადგურებს სიმინდის მოსავალს. დეპუტატი ასევე შეეხო მაწანწალა ძაღლების თემას. დიდ ქალაქებში ეს პრობლემა მეტ - ნაკლებად მოგვარებულია, მაგრამ პატარა მუნიციპალიტეტებში კვლავ აქტუალურია.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ზლაგიძემ** მადლობა გადაუხადა დღევანდელ ხელისუფლებას, რომ გაკეთდა სუფსა - გულიანი - ჩოჩხათის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთი, მაგრამ კვლავ მოსაგვარებელი რჩება სუფსის ცენტრის ღრმაღელესთან დამაკავშირებელი გზის პრობლემა. სუფსაში გაკეთდა ძალიან კარგი სკვერი, მაგრამ დანაგვიანებულია. უნდა გამოიყოს პიროვნება, რომელიც მოემსახურება მის დასუფთავებას. ასევე მწვავედ დგას გრიგოლეთის დასუფთავების საკითხი. დეპუტატმა რამდენჯერმე საკუთარი სახსრებით მოაწყო „შაბათობა“ და გაიწმინდა ტერიტორიები. ასევე, რამდენიმე ადგილას აუცილებლად დასადგმელია ნაგვის ურნა. საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ ძალიან აქტუალურია სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა. მოსახლეობის მოთხოვნაა, რომ ბაღი აშენდეს იქ, სადაც თავდაპირველად მდებარეობდა.

დეპუტატ, **დავით ჩხარტიშვილის** თქმით, სურსათის უვნებლობის სამსახურთან შეხვედრის დროს მათ მხრიდან იყო დაპირება, რომ სურვილის შემთხვევაში გლეხს შეეძლო ალტერნატიული შესაწამლი ნივთიერება მიეწოდებინა ოპერატორისთვის, რომელიც ვალდებული იყო ამ პრეპარატით განეხორციელებინა ფართობის შეწამვლა, მაგრამ ირკვევა, რომ ოპერატორს ხელფასი მიეცემა სახელმწიფოს მიერ შეძენილი პრეპარატის გამოყენებისას გახარჯული წამლის რაოდენობის მიხედვით. გამოდის, რომ მსგავს შემთხვევებში გაწეული შრომის სანაცვლოდ ოპერატორი ანაზღაურებას ვერ მიიღებს. დეპუტატი დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა, რომ შეიცვალოს ანაზღაურების გაცემის ასეთი ფორმა, თუ გლეხი ოპერატორს მიცემს შესაბამის ხელწერილს.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** დასვა საკითხი ქალაქში მაწანწალა ძაღლების მომრავლებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, აღნიშნული პრობლემა აუცილებლად მოსაგვარებელია. თანაც, ზაფხულის სეზონია და გაზრდილია ცოფის გავრცელების საშიშროება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი კატეგორიისთვის მოსახლეობის ვაქცინაცია ხორციელდება თანადაფინანსებით. დეპუტატის თქმით, ასევე აქტუალურია სასაფლაოების მოვლა - პატრონობის თემა, მით უმეტეს, რომ ეს მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლება - მოვალეობაა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორი, გელა ზოიძე, რომელიც საკრებულოს დეპუტატებს გააცნობს შეწამვლითი სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ამასთან მზად არის მათ მიერ დასმულ ნებისმიერ საკითხზე გაცეს სათანადო პასუხი.

ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორმა, **გელა ზოიძემ** აღნიშნა, რომ 10 დღეა, რაც დაიწყო შეწამვლითი სამუშაოები, მაგრამ ნალექიან ამინდში ფერხდება მისი განხორციელება. მიუხედავად ამისა, შესაწამლი ფართობების 1/3 ფაქტიურად დამუშავებულია. დღემდე რაიმე სერიოზულ ექსცესებს ადგილი არ ქონია. პრობლემა მხოლოდ შექმნა იმან, რომ უკვე გადამზადებული ჯგუფები ხელახლა გახდა მოსამზადებელი, რადგან ზოგიერთ სოფელში რამდენჯერმე მოხდა ამ ჯგუფის შეცვლა. 35 ადამიანმა თავიდან გაიარა მოსამზადებელი ტრენინგი. საკმარისი რაოდენობითაა როგორც პრეპარატი, ასევე შესაწამლი აპარატისთვის გამოყოფილი საწვავი, მაგრამ ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრს პრობლემა შეექმნა ტრანსპორტთან დაკავშირებით. ცენტრს არ გააჩნია საკმარისი ფინანსები, რომ გაარემონტოს ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კუთვნილი ავტომობილი, ასევე შეიძინოს მისთვის საწვავი. ამ ხარჯებს ა(ა)იპ - ის თანამშრომლები ისტუმრებენ საკუთარი თანხებით. ხან კი ავტომანქანის შეკეთება ხდება ნისიად. შესაწამლი სამუშაოების გარდა, ა(ა)იპ -ის წესდებით აკისრია მრავალი ფუნქცია, მაგრამ მას არ აქვს საშუალება ყველაფერ ამას გაწვდეს საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე, რადგან თავის დროზე ა(ა)იპ -ის ისედაც მწირი ბიუჯეტი შეუმცირდა 20 % - ით. ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორმა ითხოვა, რომ იქნებ გამოიყოს თანხა ტექნიკური ხარჯებისთვის. ასევე, მოსაწესრიგებელია ცენტრის კუთვნილი სამუშაო ფართი. თავის დროზე მუნიციპალიტეტის გამგებელს ეთხოვა გამოთავისუფლებული ოთახის ა(ა)იპ -ისთვის გადმოცემა, მაგრამ უშედეგოდ. ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ თუ მათ მიერ გაწეული საქმიანობა მუნიციპალიტეტისთვის წარმოადგენს საჭიროებას, მაშინ აუცილებელია ცენტრისთვის შესაბამისი მხარდაჭერა, რადგან ამ პროგრამის განსახორციელებლად მათ არანაირი თანხა არ მიუღია. გამოიყო მხოლოდ საწვავი და ფინანსები ოპერატორების სახელფასო ფონდისთვის.

დეპუტატი, **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი, რომ ეს პროგრამა განხორციელებულიყო ნორმალურად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის გამგებლის მხრიდან იყო დაპირება, რომ ის გადაწყვეტდა ყველა პრობლემურ საკითხს.

ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორის, **გელა ზოიძის** თქმით, მაშინ ცენტრის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა ასე თუ ისე გამართული იყო და საწვის ჩასხმასაც როგორღაც ახერხებდნენ, მაგრამ შემდეგ ტრანსპორტის პრობლემა გამწვავდა. დაპირების თანახმად ცენტრს ან დაუმატებდნენ თანხას ან დაიქირავებდნენ ავტომობილს. ამჟამად, პროგრამა მაქსიმალურ რეჟიმში შედის, რადგან შეწამვლის პროცესს აქვს თავისი აგროვადები. არსებობს სამუშაოებთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემები, მაგრამ კორექტირების შეტანა ვერ მოხერხდება. მაგ: სოფელ ნიგვზიანში მოსახლეობას გააჩნია საკუთარი შესაწამლი აპარატები. ისინი ითხოვენ პრეპარატის გადაცემას, რათა საკუთარი ძალებით შეწამლონ ფართობები, მაგრამ ეს პროგრამასთან შეუსაბამო საკითხია. ასევე პრობლემებია ნიგვზიანსა და ჩოლობარგში, სადაცა აქამდე ვერ შეირჩა ოპერატორები. მსგავსი პრობლემების მოგვარება ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრს მეტ - ნაკლებად შეუძლია, მაგრამ აქტუალურია ტრანსპორტისა და საწვავის პრობლემა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** იკითხა, ხომ არ ჰქონდა რაიმე ფაქტს ადგილი.

ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორის, **გელა ზოიძის** თქმით, რაიმე ექსცესები მეფუტკრეების ან მოსახლეობის მხრიდან არ ყოფილა. სოფელ მაჩხვარეთში არის პრობლემა, რადგან მოსახლეობამ მასიურად თავი შეიკავა შეწამვლის ჩატარებისგან. ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელს შედგენილი აქვს სიები, რადგან ასეთ შემთხვევაში დგება აქტი. მხოლოდ 8 ოჯახია, სადაც მოხდება შეწამვა. მან ასევე აღნიშნა, რომ არც ერთ ოპერატორს არ მიუღია რაიმე დაზიანება და არ არიან დაშავებულები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** მაძლობა გადაუხადა ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორს, **გელა ზოიძეს** სათანადო ინფორმაციის მოწოდებისთვის და თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს, ნუგზარ ცინცაძეს, იქნებ მოხერხდეს შემდგომში დაგვარად ცენტრისთვის დახმარების გაწევა, მით უმეტეს, რომ გამგეობიდან ამის დაპირება იყო.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ცარიელი ხელებით ეს პროგრამა წარმატებით ვერ განხორციელდება. ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრს ესაჭიროება გარკვეული დახმარება. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს, ნუგზარ ცინცაძეს იქნებ ამასთან დაკავშირებით წარმოადგინოს რაიმე წინადადება.

დეპუტატი, **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობაა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ავტომანქანის შექმნასთან დაკავშირებით, რადგან ეს პრობლემა საყოველთაო განხილვის თემად იქცა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** მადლობა გადაუხადა დეპუტატს და აღნიშნა, რომ ეს არის ერთადერთი საკითხი, რომელთან დაკავშირებით საკრებულოს წევრები ერთსულოვნები არიან. მისი თქმით, სატენდერო კომისია ჯერ - ჯერობით არ ჩატარებულა, მიუხედავად იმისა, რომ ორი კვირაა გასული. მთავრობის ადმინისტრაციიდან საკითხთან დაკავშირებით არის თანხმობა. უახლოეს დღეებში ბევრი რამ უნდა გაირკვეს.

დეპუტატმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ შეწამვლის პროცესს აქვს თავისი აგროვადები, ამიტომ ასეთი პრობლემები ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრს არ უნდა შექმნოდა. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს, რომ გაეწიოს აღნიშნულ ცენტრს შეძლებისდაგვარად დახმარება. ამის შემდეგ, დეპუტატმა აღნიშნა, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე მოწვეული იყო შესაბამისი სამსახურს უფროსი, რომლისგანაც ლესის საბავშვო ბაღთან დაკავშირებით მაჟორიტარმა დეპუტატმა მიიღო ინფორმაცია, რომ დაშლის შემდეგ აღნიშნულ საბავშვო ბაღს ჩაუტარდება აუდიტორული შემოწმება, რის შემდეგაც მოხდება მისი აუქციონზე გატანა. დეპუტატს აქვს ამასთან დაკავშირებით წინადადება. კერძოდ, ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში დღეისთვის არის 7 ოჯახი, რომელიც სარგებლობს ქირავნობის პროგრამით. 3 წლის განმავლობაში მათთვის ქირის სახით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადახდილია დაახლოებით 25 000 ლარი. უსახლ - კართა რაოდენობა არათუ იკლებს, პირიქით, მატულობს, რადგან ტერიტორიები დაიმეწერა და დაინგრა სახლები, რაც შემოწმებულია კომისიის დონეზე და გეოლოგების მიერ დაიდო შესაბამისი დასკვნა. ამასთან, ეს ადამიანები მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველთა ფენას და ისინი საკუთარი ძალებით ვერ მოახერხებენ სახლის აშენებას. დეპუტატის თქმით, საბავშვო ბაღის შენობის დაშლის შემდეგ დარჩა მეორადი მასალა, რომლითაც შეიძლება ერთი ოჯახისთვის მაინც გაკეთდეს თუნდაც ერთი პატარა ოთახი. მან დეპუტატებს მოუწოდა მხარდაჭერისკენ, რათა ასეთი პრეცედენტის დანერგვა დაიწყოს. ამ თემასთან დაკავშირებით ის მუნიციპალიტეტის გამგებელსაც შეხვდება და სავარაუდოდ, საკითხი საკრებულოშიც შემოვა განსახილველად. დეპუტატის აზრით, ძალიან კარგი იქნება, თუ სოფლის და მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით თუნდაც ერთ ოჯახს გაეწევა ასეთი დახმარება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ დეპუტატ ელისო ჭიჭინაძის წინადადება ყურადსაღებია, რადგან არსებობს მწარე მაგალითი შუხუთთან დაკავშირებით. მისი აზრით, სამომავლოდ გაირკვევა ამ კუთხით სამართლებრივად რა და როგორ განხორციელდეს.

საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“- ის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ აცანის ადმინისტრაციული ერთეული მაცხოვრებელს, ლოლა ორაგველიძეს სტიქიამ დაუზიანა საცხოვრებელი სახლი - გადახადა სახურავი. ის არის ასაკოვანი

ქალბატონი, ყავს ავადმყოფი შვილი და მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას. დეპუტატმა თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბესიკ ტაბიძეს და საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს, ჯუმბერ ბლაგიძეს, რომ გამოინახოს რაიმე საშუალება და სათანადო დახმარება გაეწიოს აღნიშნულ პიროვნებას.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, **ადელინა კილაძემ** მადლობა გადაუხადა საკრებულოს მხარდაჭერისკენ. მაგრამ ასევე აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების წლებადელი ბიუჯეტი ძალიან მცირეა. ისინი შეეცადნენ ხარჯების მინიმუმადე შემცირებას, მიუხედავად ამისა, მაინც აქტიურად მიმდინარეობს სამუშაო პროცესები. ა(ა)იპ - ის მიერ ჩატარებულია და მომავალშიც იგეგმება მრავალი მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება, მაგრამ არსებობს პრობლემებიც, რომლებიც ძირითადად ინფრასტრუქტურული ხასიათისაა. უპირველს ყოვლისა, ეს შეეხება კულტურის ცენტრის შენობას. ასევე, დიდ ყურადღებას მოითხოვს ეგ. ნინოშვილის მემორიალური სახლ - მუზეუმი. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომ მათი დახმარებით აშენდა მუზეუმის ადმინისტრაციული შენობა, მაგრამ კრიტიკულ მდგომარეობაშია საგამოფენო დარბაზი. პრობლემებია ასევე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. გასულ წელს აქ შეიცვალა ფანჯრები, მაგრამ სავალალო მდგომარეობაშია გარე ფასადი. ასევე, მუნიციპალიტეტის დახმარებით სუფსის კულტურის ცენტრისთვის შეძენილ იქნა სკამები, მაგრამ მისახედია შენობის სახურავი და შიგა ინტერიერი.

საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“- ის თავმჯდომარის, **ემზარ თევდორაძის** თქმით, მწვავედ დგას პრობლემა აცანის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლთან და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. ყველაზე მეტად აქ იჩაგრებიან ადამიანები - კადრებთან მიმართებაში იქნება ეს თუ ხელფასებთან დაკავშირებით. ამ ხნის განმავლობაში კულტურის სახლს ვერ დაუნიშნეს ხელმძღვანელი, მიზეზი კი დღემდე უცნობია. ასევე ცუდი მდგომარეობაა ინფრასტრუქტურის მხრივაც. ბიბლიოთეკას არ აქვს გისოსები, არადა მან უნდა გაიაროს ავტორიზაცია. დეპუტატის თქმით, თუ თანხები დაიზოგა, რას მოხმარდა ეს ფინანსები. ასევე, მის ინფორმაციით გაუქმება ემუქრება „აცაურა“-ს, რასაც დეპუტატი კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ როცა ადგილობრივი ბიუჯეტი მტკიცდებოდა, ა(ა)იპ - ები დათანხმდნენ მათთვის გამოყოფილ ფინანსებს. რადგან ალბათ, ხელისუფლების მხრიდან ქონდათ დაპირება თანხების დამატებასთან დაკავშირებით. კულტურულ სფეროში რომ პრობლემები არსებობს, ეს დიდი ხანია ცნობილია. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში მისი ყოფნის განმავლობაში კომისიის არაერთი დასკვნაა ამის შესახებ გაკეთებული და გადაგზავნილი აღმასრულებელი ხალისუფლებისთვის. ასევე, ფრაქციის, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ მიერ ჩატარდა ბიბლიოთეკების მონიტორინგი, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მიუხედავად ამისა, ხდება შტატების გაზრდა, პოლიტიკური ნიშნით მაღლანაზღაურებად სამუშაოებზე კადრების დანიშვნა, პრობლემა კი ისევ მოუგვარებელი

რჩება. გამოსავალი არის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა - იგი უნდა იყოს საქმეზე ორიენტირებული და არა სახელფასო ბიუჯეტი.

დეპუტატი, **აკაკი იმნაიშვილი** დაინტერესდა, თუ როდის გაკეთდება შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ბიბლიოთეკა.

ვალოდია წულაძის სახელობის თეატრისა და კინოს მუზეუმის გამგის, **მაყვალა ჩხაიძის** თქმით, პრობლემის არსს წარმოადგენს საკადრო პოლიტიკის უმართებულოდ წარმოება. მან აღნიშნა, რომ არის პარტია „ქართული ოცნების“ წევრი, ამიტომ მაქსიმალურად იკავებდა თავს შექმნილი სიტუაციის გასაჯაროებისგან, სანამ კულმინაციამდე არ მივიდა არსებული მდგომარეობა. მისი აზრით, ა(ა)იპ - ის ხელმძღვანელის დანიშვნისას ყურადღება უნდა ექცეოდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, ადელინა კილაძე პროფესიით არის პედაგოგი, თანაც ფილოლოგი, მაგრამ მოადგილედ დაუნიშნეს პროფესიით ინჟინერი, მძიმე ბრალდებით ნასამართლვე პიროვნება, მერაბ ქარჩავა, რომელსაც ასევე შეთავსებული აქვს კულტურის ცენტრის მენეჯერის თანამდებობა, ისე რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების წესდებაში არ არის შეტანილი შესაბამისი ცვლილება. მაყვალა ჩხაიძისთვის გაურკვეველია, თუ რატომ ეთქვა მას უარი აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ არის ხელოვნების მაგისტრი. ამასთან, აღნიშნული პიროვნებიდან მის მიმართ ადგილი ქონდა მუქარებსაც. ასევე, ანსამლ „აცაურას“ წევრების მიმართაც განხორციელდა გარკვეული მუქარა ანსამლის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** მაძღობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს, გიორგი ხელაძეს, რომ ასე საჯაროდ მოხდა ამ საკითხის გამოტანა. მისი თქმით, აღნიშნული პრობლემების შესახებ დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ უშედეგოდ. დეპუტატი ასევე ანსამლ „აცაურას“ საკითხსაც შეეხო და განაცხადა, რომ მის გაუქმებასთან დაკავშირებით საუბარიც კი არ უნდა არსებობდეს. თუ ამის საშიშროება მაინც შეიქნება, მაშინ ის პირადად აცანლებს დაუდგება გვერდით და არ დაუშვებს, რომ ეს განხორციელდეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ მან დაიცვა ის უფლება - მოვალეობა, რაც განსაზღვრულია კანონით და რეგლამენტით.

ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამგემ, **ნონა იმნაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების მიმართ დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან ადგილი აქვს ფუჭ და ტყუილ დაპირებებს, მაშინ როცა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში მუზეუმი ოპოზიციის ბუდედ იყო გამოცხადებული. წელიწად ნახევარია, რაც მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების მიერ მომზადებულია დაახლოებით 200 გვერდიანი წიგნი ლანჩხუთის შესახებ. მასში ასახულია ქალაქის მთელი ისტორია უნიკალური ფოტომასალის თანხლებით. მასალები ასევე მოპოვებულია ამერიკასა და ევროპაში. წიგნის თანაავტორი არის ირაკლი მახარაძე, რომლის სახელი ყველასთვის ცნობილია. წიგნის გამოსაცემად საჭიროა 5 000 ლარი, მაგრამ თანხის მოძიება დღემდე ვერ მოხერხდა.

წიგნი ასევე შეიძლება ითარგმნოს ინგლისურ ენაზეც, მაშინ როცა ამდენი საუბარი მიმდინარეობს ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით. ამასთან, არის ინფორმაცია, რომ ედუარდ შევარდნაძის სახლ მუზეუმში მოეწყობა ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა - გაყიდვა, არადა სწორედ ასეთი პროექტი თავის დროზე წარმოდგენილი იყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების მიერ, რაზეც მაშინდელმა გამგებელმა, გიორგი გოგუაძემ მათ მხარი დაუჭირა, მაგრამ შემდეგ იდეის განხორციელება ვეღარ მოახერხა. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა თხოვნით მიმართა საკრებულოს დეპუტატებს, რომ უახლოეს მომავალში შეძლებისდაგვარად მოგვარდეს აღნიშნული პრობლემები, წინააღმდეგ შემთხვევაში მუზეუმის თანამშრომლები მზად არიან საკითხთან დაკავშირებით პრემიერ მინისტრს მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხები მისთვის ძალიან ნაცნობია. ლანჩხუთის ისტორიაზე შექმნილი წიგნი იქნება მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათი. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ წიგნი არაერთხელ იქნა მოწონებული და არის იმის პირობა, რომ იგი დაიბეჭდება. ასევე დაისვა ისეთი საკითხები, რომელზეც ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, ადელინა კილაძემ აუცილებლად უნდა მოახდინოს რეაგირება და მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამისად, დაელოდება შედეგებს. დეპუტატის თქმით, ვალოდია წულაძის სახელობის თეატრისა და კინოს მუზეუმის გამგე, მაყვალა ჩხაიძე გამოცდილი და პასუხისმგებელიანი პიროვნებაა, მაგრამ ის საკითხები, რაც კვლიფიკაციას, გამოცდილებას და პროფესიონალიზმს შეეხება, არის ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების გადასაწყვეტი, რადგან მას აქვს საკუთარი დებულება, რომელშიც გაწერილია ვალდებულებები და ა(ა)იპ -ის ხელმძღვანელობა მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით წყვეტს ასეთ საკითხებს. თემების აქტუალურობიდან გამომდინარე, დეპუტატი, როგორც საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, თავს ვალდებულად თვლის ჩაერთოს ამ პროცესებში. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს უზრუნველყოს წარმოდგენილი საკითხების სიღრმისეული შესწავლა, რათა გაცემულ იქნას დასმულ კითხვებზე შესაბამისი პასუხები.

დეპუტატ, **დავით ჩხარტიშვილის** თქმით, სანამ ადამიანი საკუთარ თავზე არ გამოცდის უსამართლობას, მანამდე სხვის მიმართ ჩადენილ უსამართლობაზე დუმს. მისი აზრით, ეს ადამიანები არიან თავიანთი საქმის პროფესიონალები, მაგრამ აქვთ ძალიან დაბალი ხელფასები, რაც პროფესიული უსამართლობაა. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, რომ იქნებ კომისიის კომპეტენციის ფარგლებში მოხდეს მათთვის გარკვეული დახმარების გაწევა.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ 24 – 27 ივლისს ხორციელდება გურიის რეგიონში ტურიზმის განვითარების პროგრამა. დიდი იყო სურვილი, რომ ღონისძიება - ფესტივალი ჩატარებულიყო ეგ. ნინოშვილის მემორიალურ სახლ -



მუზეუმში, მაგრამ საგამოფენო დარბაზში არსებული კრიტიკული მდგომარეობის გამო, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა, არადა, იქ ყველაფერი გამზადებულია, სამზადი იქნება ეს თუ სხვა რამ. ახლა კი ეს ყველაფერი თავიდანაა გასაკეთებელი, რაც დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან. დეპუტატის აზრით, მუნიციპალიტეტის კულტურულ მემკვიდრეობას მოვლა - პატრონობა ესაჭიროება, აუცილებლობიდან გამომდინარე, შეიძლება მტკივნეული რეფორმების გატარებაც მოხდეს, მაგრამ ადამიანების შრომა შესაბამისად უნდა დაფასდეს. სხვაგვარად, ქვეყნის განვითარება ვერ მოხერხდება.

ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ - მუშაკმა, **ლალი რამიშვილმა** ყურადღება გაამახვილა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მატერიალურ - ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ძალიან მძიმე მდგომარეობაა არქეოლოგიის დარბაზში, სადაც განთავსებულია უძველესი ექსპონატები, რომლებიც მოპოვებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. არტ - ფაქტების დათარიღება იწყება უძველესი მე - 8 ათასწლეულიდან, ქვის პერიოდიდან. ეს ექსპონატები იმყოფება ე.წ. შიშველ მდგომარეობაში. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, ასევე საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, იქნებ გამოიძებნოს ფინასები და მოხდეს ამ ექსპონატების შემინვა. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ასევე დაცულია ძალიან საინტერესო ნუმიზმატიკური მასალა, მაგრამ მინის სადგარების უქონლობის გამო არც ისინია გამოფენილი. მისი თქმით, მტკივნეული თემაა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების ხელფასის საკითხი. რომელიც შეადგენს ძალიან მწირ თანხას. მათი საქმიანობა დაკნინებული და დისკრიმინირებულია. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ - მუშაკმა, **ლალი რამიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებლიდან პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით არის დაპირება, რომელიც, იმედია, ფუჭი არ იქნება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესო ტაბიძემ** მაძლობა გადაუხადა ყველა იმ გამომსვლელს, რომლებმაც აღნიშნეს ეგ. ნინოშვილის მემორიალურ სახლ - მუზეუმში არსებული სავალალო მდგომარეობა, მაგრამ მუზეუმთან დაკავშირებით საქმე დაიწყო ფაქტიურად, ნოლიდან. გაკეთდა მისასვლელი გზა და ადმინისტრაციული შენობა. იქ არის უნიკალური ბუნება, მაგრამ ტერიტორიები ეკუთვნის სატყეო დეპარტამენტს. ისინი აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს მუზეუმს.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, **ადელინა კილაძემ** აღნიშნა, რომ ანსამბლ „აცაურას“ არანაირი საფრთხე არ ემუქრება და უახლოეს მომავლში მას დაენიშნება ახალი ხელმძღვანელი. ასევე, აცანის ბიბლიოთეკას გაუკეთდება გისოსები. მისი თქმით, ძალიან კარგი პროექტია „კომპიუტერი ყველა სოფელში“. დღეისთვის სხვადასხვა სოფლის 8 ბიბლიოთეკაში დაიდგა კომპიუტერები, მაგრამ შეიქმნა გარკვეული პრობლემები. კერძოდ, მოსახლეობას მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, როგორი მოცულობისაც არ უნდა იყოს იგი, არ შეიძლება ეთქვას უარი, მაშინ როცა ეს მომსახურება ხორციელდება უფასოდ, მაგრამ ყოველივე ეს დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან - კომპიუტერის შეკეთება იქნება, ქაღალდის შეძენა თუ სხვა რამ, რაც ტვირთად დააწვა ბიუჯეტს. ამას გარდა, ვალოდია წულაძის სახელობის თეატრისა და კინოს მუზეუმისთვის შეძენილ იქნა ორი საგამოფენო

მაგიდა, ხოლო სკამების შექმნა მოხდება მიმდინარე წლის ბოლომდე. რაც შეეხება წიგნის გამოცემას, ამასთან დაკავშირებით თანხა ბიუჯეტში უნდა დაემატებინა მუნიციპალიტეტს, რაც დღემდე ვერ მოხერხდა. ამის შემდეგ, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, ადელინა კილაძემ მოუწოდა ვალოდია წულაძის სახელობის თეატრისა და კინოს მუზეუმის გამგეს, მაყვალა ჩხაიძეს, რომ სანამ სხვის თვალში ბეწვს დაინახავს, საკუთარში - დირე დაინახოს, რამაც მაყვალა ჩხაიძის მწვავე უკმაყოფილება გამოიწვია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** მხარეებს მოუწოდა თავის შეკავებისკენ და აღნიშნა, რომ ეს საკითხი ადგილზე იყო მოსაგვარებელი და არ უნდა ყოფილიყო საკრებულოს სხდომაზე განსახილველი თემა.

ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამგემ, **ნონა იმნაძემ** აღნიშნა, რომ მუზეუმში შეიცვალა ფანჯრები, ხოლო გისოსები არის დასაწყობებული. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს დახმარებასთან დაკავშირებით, რომ ამ გისოსების საშუალებით შეღობილ იქნას მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზო, რადგან იგი გადაქცეულია ცხოველების სათარეშო ტერიტორიად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** თხოვნით მიმართა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, რათა მის მიერ მოხდეს აღნიშნული საკითხის დეტალური შესწავლა, რის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთდ შესამღებელი იქნება პრობლემის დროული მოგვარება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია ყოველწლიურად აყენებდა მუზეუმებთან და ბიბლიოთეკებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემებს, ასევე ინფრასტრუქტურულ საკითხებს. კომისიის მიერ საფუძვლიანადაა შესწავლილი ეს თემები, ჩატარებულია მონიტორინგები, შედგენილია შესაბამისი ოქმები და გადაგზავნილია შესასრულებლად, მაგრამ შესაბამისი ფინანსების არ არეობის გამო, შედეგი არ მოყოლია. დეპუტატის აზრით, უფრო ადრე შეიძლებოდა ამ ადამიანების მოწვევა და მათი პრობლემების ასე თუ ისე მოგვარება. ამჟამად კი, ყოველივე ეს ღებულობს პოპულისტურ სახეს. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ არაერთხელ მოინახულა ნინოშვილის მუზეუმი, რომლის ექსპონატები განადგურებულია, ასევე მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც საცავი კრიტიკულ მდგომარეობაშია, მაგრამ ვერ მოხერხდა ამ პრობლემების მოგვარება ისევე ფინანსების არ არეობის გამო. რაც შეეხება „აცაურა“-ს, დეპუტატმა განაცხადა, რომ მასთან დაკავშირებით საკითხი გადაწყვეტილია. ანსამბლს არანაირი დაშლის საფრთხე არ ემუქრება და უახლოეს პერიოდში ხელმძღვანელი დაენიშნება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** ასევე მიმართა დეპუტატ კახაბერ

ასკურავას, რომ მას არ აქვს უფლება ასეთი ტონით ესაუბროს დღევანდელ ხელისუფლებას, რადგან წლების განმავლობაში ნადგურდებოდა და ინგრეოდა ყველაფერი. ერთბაშად ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ ქვეყანა აუცილებლად გაგრძელებს აღმშენებლობას.

**ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
საკრებულოს ბიურო

